სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
300.310.000.25.017.011.092

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს უფროსის

ბრძანება №1/004

2007 წლის 6 ნოემბერი

ქ. თბილისი

ნავთობის გადამუშავების და ბუნებრივი გაზის დამუშავების საქმიანობის ლიცენზიის განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 25[6] მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „ნავთობის გადამუშავების და ბუნებრივი გაზის დამუშავების საქმიანობის ლიცენზიის განაცხადის“ ფორმა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნავთობის გადამუშავების და გაზის დამუშავების საქმიანობის ლიცენზიის განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის 2003 წლის 24 ივნისის №12 ბრძანება.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლ. მჭედლიშვილი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
საქართველოს ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად

განაცხადის წარმდგენი _____

მისამართი _____

საწარმოს ადგილმდებარეობა _____
_____

ტელ. _____ ფაქსი _____ ელ. ფოსტის მისამართი _____

გთხოვთ მომცეთ საქმიანობის ლიცენზია _____
(საქმიანობის სახე)
_____
_____

განაცხადს თან ერთვის:

1. განსახორციელებელი, საქმიანობის ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის დეტალური აღწერა.
2. მმართველი პერსონალის რეკვიზიტები.
3. ინფორმაცია ქარხნის 5%-ზე მეტი აქციების ან მოგების პროცენტის მფლობელების შესახებ.

4. ცნობა ფინანსური მდგომარეობის შესახებ.
5. ქარხნის ტექნიკური პროექტი.
6. დოკუმენტი განმცხადებლის კვალიფიკაციის შესახებ.
7. განმცხადებლის გარანტია სააგენტოსადმი სრული ინფორმაციის მიწოდებაზე.
8. დოკუმენტი მიწით სარგებლობის უფლების შესახებ.
9. გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი.
10. საჭიროების შემთხვევაში იურიდიული პირის საქართველოში წარმომადგენლობის რეგისტრაციის ადგილი და რეგისტირაციის ორგანო.
11. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

_____

საწარმოს წარმომადგენელი:

_____
(თანამდებობა, გვარი, სახელი)

_____

_____

(ხელმოწერა)
„_____“ „_____“ 200 წ. ბ.ა.

საქმიანობის ლიცენზიის განაცხადით მოთხოვნილი
დოკუმენტების შინაარსი

1. განსახორციელებელი საქმიანობის დეტალური აღწერა – ინფორმაცია ტექნიკური პროექტის შემდგენი ორგანიზაციის და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაციის შესახებ, განმცხადებლის მიერ ნედლეულის მიღების შესაძლო წყაროს შესახებ, გამოშვებული ან მოსალოდნელი პროდუქციის რაოდენობის (სახეობების მიხედვით) შესახებ, პროდუქციის სავარაუდო თვითღირებულების და რეალიზაციის ადგილის შესახებ. ყველა იმ პირმა, რომელიც აპირებს ააშენოს ახალი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ბიზნესგეგმა.
2. ინფორმაცია ქარხნის 5%-ზე მეტი აქციების (ან წილის) მფლობელების შესახებ – დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა იმ პირის სახელი, გვარი და მისამართი, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების (ან წილს) 5%-ს ან მეტს (სასამართლო დადგენილების ასლი ან სხვა ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი).
3. ცნობა ფინანსური მდგომარეობის შესახებ – დოკუმენტი, რომელშიც მითითებულ იქნება, რომ განმცხადებელი ფლობს საკმარის ფინანსურ სახსრებს საქმიანობის ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად. დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობა (ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, ბოლო 2 წლის ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი, საკუთარი კაპიტალის უწყისი და საერთაშორისო სტანდარტებით შესრულებული აუდიტორული დასკვნა), იმ თანხის წყაროს მითითებით, რომელსაც იგი გამოიყენებს საქმიანობისათვის (საკუთარი სახსრები ან კრედიტი) ბანკის კრედიტის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკრედიტო ხელშეკრულების ასლი.
4. ქარხნის ტექნიკური პროექტი უნდა მოიცავდეს: ქარხანაში გამოყენებული ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიური პროცესების, ასევე ნედლეულისა და ნავთობგაზპროდუქტების დეტალურ აღწერას, ტექნოლოგიური რეჟიმის ნორმებს, ტექნოლოგიური პროცესის ანალიტიკურ კონტროლს, პროდუქციის ხარისხის ლაბორატორიულ კონტროლს, გარემოს დაცვის საკითხებს, წარმოების

პროცესში უსაფრთხოების დაცვის წესებს, სახანძრო უსაფრთხოების დაცვის სისტემის აღწერას და სხვა ტექნიკურ საკითხებს.

5. დოკუმენტი განმცხადებლის კვალიფიკაციის შესახებ – ინფორმაცია განმცხადებლის ან კონტრაქტორის/ქვეკონტრაქტორის გამოცდილების (კვალიფიკაციის) შესახებ, რომელიც აშენებს ან ექსპლუატაციას გაუწევს ქარხანას და იმ ქვეყნების სია, სადაც ის მუშაობდა ბოლო 5 წლის განმავლობაში. ასევე ლიცენზიის მფლობელის მუშაკთა ან კონტრაქტორის/ქვეკონტრაქტორის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

6. განმცხადებლის გარანტია სააგენტოსადმი სრული ინფორმაციის მიწოდებაზე – გარანტია, წარუდგინოს სააგენტოს ანგარიში გადამუშავებული ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობების ჩვენებით, ასევე წარუდგინოს ინფორმაცია საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობის შესახებ.

7. დოკუმენტი მიწით სარგებლობის უფლების შესახებ – განმცხადებლის მიერ მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან საიჯარო ხელშეკრულების ასლი. საჭიროების შემთხვევაში მიწის კერძო მესაკუთრის წინასწარი თანხმობა საქმიანობის ლიცენზიის მფლობელის მიერ ნავთობის გადამუშავების მიზნით მისი მიწის ფართობის გამოყენებაზე.

8. გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი – საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული საიდენტიფიკაციო კოდი.